



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რას ნიშნავს თავდასხმა საუღის არაბეთზე –
საფრთხეები და გამონევეები

ზურაბ ბატიაშვილი

128

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ზურაბ გაბიაშვილი

**რას ნიშნავს თავდასხმა საულის არაბეთზე –
საფრთხეები და გამოწვევები**

128

2019



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2019 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-1853-0

ვითარება ახლო აღმოსავლეთში არასოდეს ყოფილა მშვიდი, რადგან იქ დაპირისპირებებს ეთნოკონფესიური, იდეოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები აქვს. დანარჩენი სამყაროსთვის კი ეს რეგიონი ძირითადად მდიდარი ბუნებრივი რესურსების (ნავთობი და ბუნებრივი აირი) გამოა განსაკუთრებით საყურადღებო. ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტური კერების რაოდენობამაც იმატა და, რაც ყველაზე მთავარია, უკიდურესად დაიძაბა სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია.

დაძაბულობის ბოლო ტალღა ახლო აღმოსავლეთში დაიწყო 2019 წლის 14 სექტემბერს, როდესაც საუდის არაბეთის ნავთობ-გადამამუშავებელი ქარხნების კომპლექსსა და საბადოებს შეუტყის და ამან ბუნებრივად მიიპყრო მთელი მსოფლიოს ყურადღება.

დაპირისპირებული ბანაკები

რეგიონში ერთმანეთს უპირისპირდება ორი სერიოზული ბანაკი. ერთ მხარეს პირობითად შეიძლება ვუნოდოთ „პრო-ამერიკული“, რომელსაც ვაშინგტონი მფარველობს და რომლის რეგიონული ლიდერიც ადგილზე საუდის არაბეთის სამეფოა. მის გარშემო შემოკრებილი არიან ძირითადად სუნიტური არაბული ქვეყნები – არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბაჰრეინი, ეგვიპტე, ქუვეითი, იორდანია და მაროკო.¹ ამ ბანაკშივე მოიაზრება ისრაელიც. თუმცა, არაბულ სამყაროსთან ამ უკანასკნელის პრობლემების გამო, ეს მოკავშირეობა ოფიციალურ დონეზე ნაკლებად შესამჩნევია.²

ახლო აღმოსავლეთის მეორე ბანაკი კი, ასევე პირობითად, „პრორუსულია“ და მისი რეგიონული ლიდერი ირანის ისლამური რესპუბლიკაა. ამ ბანაკში ძირითადად გაერთიანებული არიან შიიტური ქვეყნები და პროირანული დაჯგუფებები³ – ერაყი, ასადის რეჟიმი სირიაში, „ჰეზბოლაჰი“ (არაბ. „ალაჰის პარტია“) ლიბანში, დაჯგუფება „ჰუსიტები“ იემენში და ა.შ.⁴

ირანმა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, შექმნა კარგად ორგანიზებული პროირანული საერთაშორისო ქსელი მთელ რეგიონში. ამ კავშირს სხვანაირად „წინააღმდეგობის ღერძსაც“ უწოდებენ და მისი მიზანი რეგიონში ირანის გავლენის გაზრდაა.⁵

თავის მხრივ, საუდის არაბეთის გარშემო შემოკრებილი სუნიტურ-არაბული კოალიციაც აქტიურობს. საუდელები ეჭვობენ, რომ ირანი მათ ალყაში მოქცევას ცდილობს.

Who supports whom

■ Saudi side ■ Iran side ■ Split* ■ Non-aligned



***Syria:** Govt pro-Iran, opposition pro-Saudi. **Lebanon:** Hezbollah pro-Iran, main Sunni bloc pro-Saudi. **Yemen:** Govt-in-exile pro-Saudi, Houthi rebels pro-Iran

BBC

წყარო: BBC

აღსანიშნავია, რომ ირანი და საუდის არაბეთი ერთმანეთს არაფერში ენდობიან და მათ შორის არც პირდაპირი დიალოგი არსებობს. შედეგად, მხარეებს შორის გამყოფი ხაზები ფეთქებადსაშიშო რეგიონები ხდება.⁶


ეს ბანაკები ერთმანეთს უპირისპირდებიან ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა ცხელ წერტილში – ერაყში, სირიაში, ლიბანში, იემენში და საკუთრივ საუდის არაბეთისა და ირანის ტერიტორიებზეც.

რას ნიშნავს ბოლო შეტევა საუდის არაბეთზე

მსოფლიო ნავთობის ბაზარი დიდწილად დამოკიდებულია საუდის არაბეთის კუთვნილ გიგანტურ კომპანია "Aramco"-ს მიერ მიწოდებულ პროდუქციაზე. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ეყრდნობა აბჯაიქის ქარხნების კომპლექსის პოტენციალს (დღე-ღამეში ამუშავებს 6,8 მილიონ ბარელ ნავთობს⁷), სადაც შემდგომი გადამუშავების მიზნით თავს იყრის საუდის არაბეთის სამი უდიდესი საბადოს – ლავარის, ხურაისისა და შაიბაჰის – ნავთობი.⁸

ამიტომ მოექცა მყისიერად მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღების არეალში 14 სექტემბრის საჰაერო თავდასხმები აბჯაიქსა და ხურაისზე, რომლებიც 18 დაბალ სიმაღლეზე მფრინავი იაფფასიანი ე.წ. „კამიკაძე“ დრონითა და 7 საკრუიზო რაკეტით განხორციელდა⁹. თავდასხმების შედეგად საუდის არაბეთის ნავთობის წარმოებამ 60%-ით იკლო, ხოლო მსოფლიო ბაზარზე ამ პროდუქციის მიწოდება 6%-ით შემცირდა.¹⁰ შედეგად, მასზე ფასმა 14,7%-ით მოიმატა,¹¹ რაც დიდი ეკონომიკებისთვის სერიოზული საფრთხეა.

აღნიშნულ შეტევაში საუდის არაბეთმა ირანი დაადანაშაულა. ირანის თავდაცვის სამინისტრომ წარმოადგინა თავდასხმისას გამოყენებული ირანული წარმოების დრონებისა და საკრუიზო რაკეტების ფრაგმენტები, ხოლო სამინისტროს პრეს-სპიკერმა, პოლკოვნიკმა ტურკი ალ-მალკიმ აღნიშნა, რომ შეტევა „უდავოდ იყო ირანის მიერ დასპონსორებული“.¹² პრეს-სპიკერმა ამ განცხადებით საუდის არაბეთზე მიტანილი შეტევები პირდაპირ ირანს დაუკავშირა, თუმცა მას შეგნებულად არ დაუკონკრეტებია, ეს თავდასხმები უშუალოდ ირანის ტერიტორიიდან მოხდა თუ არა, რადგან თუ დააზუსტებდა ინფორმაციას, ამ შემთხვევაში გაიზრდებოდა ისლამურ რესპუბლიკასთან პირდაპირი სამხედრო კონფრონტაციის დაწყების შანსი,¹³ რაც დამანგრეველი შედეგების მომტანი იქნებოდა როგორც საუდის არაბეთისა და მისი მოკავშირეებისთვის, ისე მთელი რეგიონისთვის.



წყარო: Bloomberg

აღსანიშნავია, რომ ამ შეტევებზე პასუხისმგებლობა ირანს ასევე დააკისრა ჯერ შეერთებულმა შტატებმა, რომელმაც 20 სექტემბერს კიდევ უფრო გაამკაცრა ირანის წინააღმდეგ მოქმედი ისედაც მძიმე ეკონომიკური სანქციები,¹⁴ და შემდეგ – საფრანგეთმა, გერმანიამა და დიდმა ბრიტანეთმა. მანამდე ვაშინგტონმა ასევე თეირანი მიიჩნია პასუხისმგებლად 2019 წლის მაისში, ივნისში, ივლისსა და აგვისტოში სპარსეთის ყურეში ნავთობით დატვირთულ ტანკერებსა და საუდის არაბეთის ნავთობსადენებზე მიტანილ შეტევებზე.

თავად ოფიციალური თეირანი, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯავად ზარიფის სახით, კატეგორიულად უარყოფს საკუთარ მონაწილეობას აღნიშნულ ინციდენტებში.¹⁵ თუმცა, იემენში მოქმედმა ირანის მოკავშირე „ჰუსიტების“ დაჯგუფებამ ბოლო თავდასხმაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო.¹⁶ 29 სექტემბერს კი იგივე „ჰუსიტებმა“ საუდის არაბეთ-იემენის საზღვარზე ჩატარებული ოპერაციის შედეგად დაატყვევეს ასობით საუდელი სამხედრო.¹⁷ ამ ყველაფერმა სერიოზული კითხვის ნიშნები გააჩინა საუდის არაბეთის სამეფოს მიერ 2018 წელს თავდაცვის მიზნებისთვის დახარჯულ 76,7 მლრდ. აშშ დოლარის ეფექტიანობასთან დაკავშირებით (საუდის არაბეთი თავდაცვაზე დახარჯული თანხებით მსოფლიოში მესამე ადგილზეა აშშ-ისა და ჩინეთის შემდეგ).¹⁸

ფართო სურათი

ბოლოს განვითარებულმა პროცესებმაც აჩვენა, რომ ირანი ხელწამოსაკრავი ძალა არაა და თეირანს, მის წინააღმდეგ დაწესებული მძიმე ეკონომიკური სანქციების მიუხედავად, სერიოზული (მათ შორის სამხედრო) წინააღმდეგობის განევა შეუძლია.

მოსალოდნელიც იყო, რომ ირანი რალაც ფორმით უპასუხებდა ტრამპის ადმინისტრაციის მაქსიმალურ ეკონომიკურ სანქციებს, რითაც ვაშინგტონი თეირანის დაჩოქებას ცდილობდა.¹⁹ თეირანს არაერთხელ მიუნიშნებია, რომ თუ მას არ ექნებოდა ნავთობით ვაჭრობის საშუალება, ასეთი საშუალებით ვერც რეგიონის სხვა ქვეყნები ისარგებლებდნენ. საბოლოო ჯამში, ირანი აშშ-ის მიერ დაწესებულ სანქციებს მის წინააღმდეგ წარმოებულ ეკონომიკურ ომად მიიჩნევს და სხვადასხვა საშუალებით ცდილობს მასზე რეაგირებას.²⁰

თეირანს ახლო აღმოსავლეთში ბერკეტების ფართო არსენალი აქვს. საჭიროების შემთხვევაში, მას შეუძლია სიტუაციის მნიშვნელოვნად გაართულება – ჰორმუზის სრუტის გადაკეტვა, რასაც ბუნებრივად მოჰყვება სპარსეთის ყურეში ნავთობის ტრანსპორტირების დაბლოკვა; ლიბანში მოქმედი შიიტური „ჰეზბოლაჰის“ გააქტიურება ისრაელის მიმართულებით ან შიიტური სამხედრო ნაწილების ამოქმედება, რომელთა სამიზნეც შესაძლოა გახდეს ერაყში დაბანაკებული აშშ-ის სამხედრო კონტიგენტი და ა.შ.²¹

თეირანის პერსპექტივიდან, შექმნილ სიტუაციაში ტრამპი, რომელმაც უკვე დაიწყო მზადება 2020 წლის წინასაარჩევნო პერიოდისთვის, მოერიდება ისეთი სახის ღია კონფრონტაციას, სადაც აშშ-ისა და მისი მოკავშირეებისთვის სერიოზული ზიანის მიყენების შანსი მაღალია.²² ამიტომ გაჩნდა ერთგვარი შეგრძნება, რომ თუ უშუალოდ ამერიკელებზე (ბაზები, გემები და სამხედროები) არ მიიტანენ შეტევას, აშშ არ უპასუხებს.²³

თეირანში მიიჩნევენ, რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, დასავლეთთან გასამართ მოლაპარაკებებში საკუთარი პოზიციების უკეთ დაცვას შეძლებენ. ისინი ასევე იმედოვნებენ, რომ ასეთი ქმედებებით და პოზიციით დასავლეთს დაარწმუნებენ ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების უპერსპექტივობაში და საბოლოო ჯამში შეძლებენ მის მოხსნას.²⁴

ირანისგან განსხვავებულ ვარიანტებზე ფიქრობენ შეერთებულ შტატებში. პირველი საპასუხო ნაბიჯი იყო ის, რომ 26 სექ-

ტემბერს პენტაგონმა გამოაცხადა „პეტრიოტის“ სისტემის ერთი დამატებითი ბატარეის, ოთხი რადარისა და 200 პერსონალის გადასროლის შესახებ საუდის არაბეთში. თუმცა ჯერჯერობით უცნობია, ეს ძალა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან დაემატება საუდის არაბეთში ისედაც დისლოცირებულ 500 ამერიკელ ჯარისკაცს თუ შეერთებული შტატებიდან მოხდება მათი გადასროლა.²⁵ აქ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც – ამერიკული წარმოების „პეტრიოტების“ სისტემა გათვლილია ბალისტიკური რაკეტების ნეიტრალიზაციაზე და არა დაბალ სიმაღლეზე მფრინავი დრონებისა და საკრუიზო რაკეტების ჩამოგდებაზე. ამასთან, საუდელები ისედაც ფლობენ „პეტრიოტების“ სისტემებს, რაც არ ან ვერ გამოიყენეს 14 სექტემბრის თავდასხმების გასაწეიტრალეზლად.²⁶

პარალელურად, შეერთებულ შტატებში განიხილავენ ირანზე კიბერშეტევის განხორციელების შესაძლებლობასაც. ვაშინგტონში ასევე ფიქრობენ საუდის არაბეთისა და მისი მოკავშირეებისთვის სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობაზე იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელებმა შეძლონ საპასუხო წერტილოვანი დარტყმების განხორციელება ირანის ნავთობისა და ბუნებრივი აირის გადამამუშავებელ კომპლექსებზე ან რევოლუციურ გუშაგთა კორპუსის ბაზებზე.²⁷

საკუთრივ საუდის არაბეთს ჯერჯერობით ზუსტად არ აქვს განსაზღვრული, რა სახის საპასუხო ნაბიჯები შეიძლება გადადგას ირანის მიმართულებით. იგი არც იმაზეა ჩამოყალიბებული, საერთოდ უპასუხებს თუ არა თეირანს, რადგან თავდაცვის სფეროში ჩავარდნების ფონზე არ სურს ახალი ირანული შეტევების პროვოცირება.²⁸

ერთი მხრივ, საუდის არაბეთის საგარეო საქმეებზე პასუხისმგებელმა სახელმწიფო მინისტრმა ადელ ალ-ჯუბეირმა განაცხადა, რომ ირანის წინააღმდეგ საპასუხო ნაბიჯების გადადგმის ყველა ვარიანტზე ფიქრობენ, მათ შორის, სამხედრო შესაძლებლობაც განიხილება.²⁹ თუმცა, მეორე მხრივ, საუდის არაბეთის დეფაქტო მმართველმა კოპრინცმა მოჰამედ ბინ სალმანმა ისაუბრა იმ კატასტროფული შედეგების შესახებ, რაც შესაძლოა მოჰყვეს ირანთან სამხედრო კონფრონტაციას. კერძოდ, მან აღნიშნა: „რეგიონი მსოფლიოს უზრუნველყოფს ენერგომატარებლების 30%-ით... რაც მსოფლიო მშპ-ის 5%-ია“³⁰ და დასძინა, რომ ირანთან ომი „გლობალური ეკონომიკის სრულ კოლაფსს გამოიწვევს“, რადგან ასეთ შემთხვევაში მსოფლიო ბაზარზე კატასტროფულად გაიზრდება ნავ-

თობის ფასი. მან იქვე აღნიშნა, რომ კონფლიქტის „პოლიტიკური და მშვიდობიანი გადაწყვეტა სჯობს სამხედრო გადაწყვეტას“.³¹

ამასთან, ახლო აღმოსავლეთის გარკვეული ქვეყნები შუამავლის როლის შესრულებაზეც ფიქრობენ. თუ ადრე ამ როლს ძირითადად ნეიტრალური ომანი ასრულებდა, ახლა სამშვიდობო მისიის საკუთარ თავზე აღებას ერაყის პრემიერ-მინისტრი ადელ აბდულ მაჰდი ცდილობს, რომელმაც ორი დაპირისპირებული ქვეყნის ლიდერი შეხვედრისთვის ბაღდადში მიიწვია.³²

მთავარი პრობლემა მაინც ისაა, რომ შეერთებულ შტატებს არ აქვს ჩამოყალიბებული მკაფიო სტრატეგია ზოგადად ახლო აღმოსავლეთის (მათ შორის ირანის) მიმართ. ამასთან, ვაშინგტონი საკუთარი მიზნების მისაღწევად ძირითადად იყენებს ეკონომიკურ ზენოლას სანქციების სახით, რომელსაც მისთვის სასურველი შედეგი ჯერჯერობით არ მოუტანია. აშშ ასევე ნაკლებად ან თითქმის არ/ვერ იყენებს დიპლომატიურ, პოლიტიკურ, კიბერ, სამხედრო, სადაზვერვო და ა.შ. შესაძლებლობებს.³³ მაგალითად, საერთაშორისო არენაზე არ არსებობს ფართო კოალიცია, რომელიც ბოლომდე გაიზიარებდა ვაშინგტონის ხედვას და პოლიტიკას თეირანთან მიმართებით. ასეთ ვითარებაში კი ძნელია მოვლენათა შემდგომი განვითარების ძირითადი გეზის დანახვა.

დასკვნები:

- 14 სექტემბრის თავდასხმებმა ნათლად აჩვენა, რამდენად მყიდვეა მშვიდობა და სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში;
- კონფლიქტის ამ ეტაპმა აჩვენა ირანისა და მისი მოკავშირეების აშკარა სამხედრო უპირატესობა საუდს არაბეთსა და მის მოკავშირეებზე;
- შესაბამისად, ბუნებრივია, რომ თეირანი ახლა შეეცდება ამ უპირატესობის ასახვას როგორც მთელ ახლო აღმოსავლეთზე, ისე საერთაშორისო არენაზე საკუთარი პოზიციების გაძლიერების მიზნით;
- თავდასხმებმა გააჩინა სერიოზული კითხვები საუდის არაბეთის სამეფოს საჰაერო თავდაცვის სისტემების ქმედითუნარიანობასთან დაკავშირებით. დიდი ალბათობით, მას აშშ-ის პირდაპირი სამხედრო დახმარების გარეშე ძალზე გაუჭირდება თავის დაცვა;

- თავდასხმამ ასევე აჩვენა, რამდენად მყიფეა ნავთობის ფასები მსოფლიო ბაზარზე და რამდენადაა იგი დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენებზე;
- ინციდენტებმა აჩვენა, რომ დროთა განმავლობაში იცვლება და იხვეწება საბრძოლო ხელოვნებაც. მათ შორის გამოჩნდა, რომ საკმაოდ ეფექტიანია დაბალ სიმაღლეზე მფრინავი იაფფასიანი ე.წ. „კამიკაძე“ დრონები. შესაბამისად, საჭირო ხდება ტრადიციული საჰაერო თავდაცვითი სისტემების (მათ შორის „პეტრიოტების“) გადანაწილება ახალი საფრთხეების გასაწინააღმდეგობად;
- მხარეებისთვის არახელსაყრელია მსხვილმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყება, რომელმაც შესაძლოა გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიღოს. ამიტომ ისინი, ერთმანეთის მიმართ მკვეთრი რიტორიკის მიუხედავად, მაინც ცდილობენ თავიდან აიცილონ დიდი კონფრონტაცია, რომელმაც შესაძლოა ააფეთქოს მთელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონი და გაუთვალისწინებელი შედეგები მოიტანოს;
- მიუხედავად ამისა, გამორიცხული არაა, რომ მცირე ზომის რაიმე სახის ინციდენტი (მაგალითად, ამერიკელი სამხედროების მიმართ გაუფრთხილებლობით გასროლილი რაკეტა) დიდ არასასურველ ესკალაციაში გადაიზარდოს;
- ირანმა და/ან ირანის მოკავშირეებმა შესაძლოა მომავალშიც გააგრძელონ ბოლო შეტევების მსგავსი მცირე ზომის ნერტილოვანი დარტყმების განხორციელება. აქ მნიშვნელოვანია, თუ როგორ შეაფასებენ საფრთხეებს, რადგან მსგავსი დარტყმები შესაძლოა საფრთხეების პრევენციად იყოს აღქმული;
- ირანის მეორე მთავარ მონინალმდეგეს რეგიონში, ისრაელს, ამ მომენტისთვის არ სცალია აქტიური საგარეო პოლიტიკისთვის. იქ ჩატარებული არჩევნების შემდეგ ჩამოსაყალიბებელია ახალი მთავრობა (ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე გამოკვეთილი გამარჯვებულის არარსებობის გამო შესაძლოა კიდევ ერთი რიგგარეშე არჩევნების ჩატარება გახდეს საჭირო). ამიტომ ისრაელი ამ ეტაპზე მშვიდად, მაგრამ ყურადღებით, ადევნებს თვალს მოვლენების განვითარებას სპარსეთის ყურეში;
- დიდი ესკალაცია სახიფათოა როგორც მთელი ახლო აღმოსავლეთის, ისე მისი სამეზობლოსთვის, მათ შორის, საქართველოსთვისაც, რადგან ასეთ შემთხვევაში გამორიცხული

არაა ჰუმანიტარული კრიზისის დაწყება, რაც აუცილებლად გამოიწვევს ლტოლვილთა დიდი მოძრაობას. ასეთ შემთხვევაში გამორიცხული არაა საქართველოს მიმართულებით რადიკალური და ტერორისტული დაჯგუფებების გააქტიურებაც;

- ახლო აღმოსავლეთში ორ ბანაკს შორის მიმდინარე ე.წ. „Proxy war“ (ომი ადგილზე საკუთარი მოკავშირეების მონაწილეობით) ადვილად ვერ დასრულდება. დიდი ალბათობით, მათ შორის კონფრონტაცია კიდევ დიდხანს გაგრძელდება, რადგან არც კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების რეალური გეგმა არსებობს და არც მხარეებს გააჩნიათ შესაბამისი პოლიტიკური ნება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. Ebtesam Al-Ketbi, "United Arab Emirates", www.ecfr.eu/mena/battle_lines/uae
2. www.gfsis.org/files/library/opinion-papers/116-expert-opinion-geo.pdf
3. ზურაბ ბატიაშვილი, „მხოლოდ რუსეთს შეუძლია ჩამოაგდოს საკუთარი თვითმფრინავი და ამაში სხვა დაადანაშაულოს“, www.interpressnews.ge/ka/article/513119-zurab-batiashvili-mxolod-rusets-sheuzlia-chamoagdos-sakutari-tvitmprinavi-da-amashi-sxva-daadanashaulos/
4. www.csis.org/analysis/axis-rising-irans-evolving-regional-strategy-and-non-state-partnerships-middle-east
5. Avi Melamed, "Inside the Middle East", New York, 2016, pp. 89-90.
6. ზურაბ ბატიაშვილი, „ირანი-საუდის არაბეთი: დიდი დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში“, „ექსპერტის აზრი“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, ნომ. 116, 2019, გვ. 4.
7. www.english.iswnews.com/7194/breaking-ansar-allah-drone-attacks-on-aramco-oil-facility-deep-inside-the-saudi-arabia/
8. www.economist.com/middle-east-and-africa/2019/09/19/despite-american-shale-oil-markets-still-rely-on-saudi-arabia
9. www.bbc.com/news/world-middle-east-49805591
10. www.economist.com/middle-east-and-africa/2019/09/19/despite-american-shale-oil-markets-still-rely-on-saudi-arabia
11. www.theguardian.com/business/live/2019/sep/16/oil-price-saudi-arabia-iran-drone-markets-ftse-pound-brexit-business-live
12. www.foreignaffairs.com/articles/iran/2019-09-24/iran-testing-trump-administration
13. www.worldview.stratfor.com/article/qa-why-did-iran-attack-saudi-arabia
14. www.worldview.stratfor.com/article/major-attack-saudi-aramco-leaves-us-difficult-spot-iran-oil-yemen-iraq-military-response
15. www.foreignaffairs.com/articles/iran/2019-09-24/iran-testing-trump-administration
16. www.bbc.com/news/world-middle-east-49805591
17. www.almasdarnews.com/article/houthi-forces-capture-saudi-army-officers-in-big-attack-along-yemeni-border/
18. www.cnn.com/2019/09/19/how-saudi-arabia-failed-to-protect-itself-from-drones-missile-attacks.html
19. www.spiegel.de/international/world/usa-saudia-arabia-iran-a-new-conflict-in-the-middle-east-a-1287811.html
20. www.foreignaffairs.com/articles/iran/2019-09-24/iran-testing-trump-administration
21. www.spiegel.de/international/world/usa-saudia-arabia-iran-a-new-conflict-in-the-middle-east-a-1287811.html
22. www.worldview.stratfor.com/article/major-attack-saudi-aramco-leaves-us-difficult-spot-iran-oil-yemen-iraq-military-response

23. www.foreignaffairs.com/articles/iran/2019-09-24/iran-testing-trump-administration
24. www.worldview.stratfor.com/article/qa-why-did-iran-attack-saudi-arabia
25. www.nytimes.com/2019/09/26/world/middleeast/troops-defense-saudi-pentagon.html
26. www.worldview.stratfor.com/article/qa-why-did-iran-attack-saudi-arabia
27. www.worldview.stratfor.com/article/qa-why-did-iran-attack-saudi-arabia
28. www.worldview.stratfor.com/article/qa-why-did-iran-attack-saudi-arabia
29. www.bbc.com/news/world-middle-east-49836080
30. www.aljazeera.com/news/2019/09/saudi-arabia-mbs-war-iran-collapse-global-economy-190930011429697.html
31. www.telegraph.co.uk/news/2019/09/30/saudi-prince-warns-regional-war-iran-could-lead-total-collapse/
32. www.middleeasteye.net/news/exclusive-saudi-arabia-gives-green-light-for-talks-with-iran
33. www.foreignaffairs.com/articles/iran/2019-09-24/iran-testing-trump-administration